

## ევროკომისიის (EC) სიახლეები

### 1. საზღვარგარეთ სწავლება – ევროკომისიის მწვანე ბიულეტენი ახალგაზრდებისათვის სასწავლო მობილობის შესახებ.

2009 წლის 8 ივლისს ევროკომიამ გამოაქვეყნა ე.წ. მწვანე ბიულეტენი "ხელშეწყობა ახალგაზრდების სასწავლო მობილობისათვის". აღნიშნული გამოცემის მიზანია დებატების მეშვეობით გამოავლინოს საუკეთესო საშუალებები ახალგაზრდებისათვის, რომ მათ მაქსიმალურად განავითარონ თავიანთი ცოდნა და უნარ-ჩვევები ევროპაში სწავლებისას.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ:

[http://ec.europa.eu/education/focus/focus363\\_en.htm](http://ec.europa.eu/education/focus/focus363_en.htm)

### 2. როგორ შეუძლია საგადასახადო პოლიტიკამ რეალობად აქციოს იწყვეტი სწავლება?

მიმდინარეობს რეგისტრაცია საერთაშორისო კონფერენციისათვის თემაზე განათლებისა და ტრენინგისათვის საგადასახადო წამახალისებლები. აღნიშნულ თემაზე ევროკომისიის პირველი კონფერენცია განიხილავს საგადასახადო წამახალისებლებთან დაკავშირებულ ისეთ ინოვაციურ პერსპექტივებს, რომლებსაც მთავრობები იყენებენ განათლებისა და ტრენინგების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით. კონფერენცია ჩატარდება ქ. ბრიუსელში (ბელგია) 2009 წლის 22 სექტემბერს.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ:

[http://ec.europa.eu/education/news/news1524\\_en.htm](http://ec.europa.eu/education/news/news1524_en.htm)